სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

23 აპრილი, 2025 წელი

ბრძანება № 01-02/80

ბსუ-ს არაფორმალურ საგანმანათლებლო კურსზე „უწყვეტი პერსონალური და პროფესიული განვითარების სტრატეგიები“ მსმენელთა მიღების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, „ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოსა” და სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს” შორის გაფორმებული 2024 წლის 24 ნოემბრის N118/მ ხელშეკრულების (დაფინანსების თაობაზე), არაფორმალური საგანმანათლებლო კურსის „უწყვეტი პერსონალური და პროფესიული განვითარების სტრატეგიები“ პროექტის კოორდინატორის, მამუკა გოგელიას 2025 წლის 22 აპრილის №428367 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს **არაფორმალურ საგანმანათლებლო კურსზე** <u>„უწყვეტი პერსონალური და პროფესიული განვითარების სტრატეგიები“</u> **გამოცხადდეს მსმენელთა მიღება** (ჯგუფში მინიმუმ 8 და მაქსიმუმ 15 მსმენელი), მოცულობა - 20 საათი, კვირაში 5 სთ; სწავლის დაწყება - **2025 წლის 02 მაისს;** დასრულება - 2025 წლის 24 **მაისს)).**
2. არაფორმალური საგანმანათლებლო კურსის „უწყვეტი პერსონალური და პროფესიული განვითარების სტრატეგიები“ გავლის მსურველთა **ონლაინ რეგისტრაცია** განხორციელდეს 2025 **წლის 24 აპრილიდან 26 აპრილის ჩათვლით,** შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: https://forms.gle/JYGDGBnttxEnq1uW7.
3. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს ბსუ-ს ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ მიღების გამოცხადების შესახებ ინფორმაციის განთავსება, ასევე მსურველთა (აპლიკანტთა) რეგისტრაციის პროცესში მათი მხარდაჭერა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - „განცხადებები” და „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი”, ასევე „რექტორის ბრძანებები“) და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და

უწყვეტი განათლების ცენტრს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ფაკულტეტებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

6. გრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**